შირაქი

SHIRAKI

გამოცემის 85-ე წელი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№41 (10.046)

5—12 ნოემბერი 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

წლიური ანგარიში მოსახლეობას

ანგარიში მიმდინარე წლის ბიუჯეტის განხილვით დაიწყო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, რომელმაც პანდემიის შემდეგ მოსახლეობას წლიური ანგარიში პირველად ჩააბარა. შეხვედრა ხელოვნების სკოლის დარბაზში შედგა. ითქვა, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წელს 20 851 600 ლარია, ამ დროისთვის კი შესრულებულია 10 751 100 ლარი. ერთი შეხედვით ჩანს, რომ ბიუჯეტის შემოსულობებში ჩამორჩენაა, რადგან წლის დასრულებამდე ორი თვე რჩება და დაგეგმილი თანხის ნახევარი ადგილობრივ ბიუჯეტში ჯერაც არ შემოსულა. თუმცა, როგორც მერი განმარტავს, დედოფლისწყაროს ბიუჯეტის შემოსულობების დიდი ნაწილი მიწის გადასახადებისგან შედგება, ამიტომაც ყოველწლიურად, დაახლოებით ამგვარი სურათია და ადგილობრივ ბიუჯეტში თანხის მობილიზება ყოველთვის ნოემბრის თვეში ხდება. ამდენად, მერი დარწმუნებულია, რომ 1-15 ნოემბრის პერიოდში მიწის გადასახადები სრულად შემოვა და მიმდინარე წლის გეგმა შესრულდება.

ბიუჯეტის ხარჯები განსაზღვრულია 22 470 900 ლარით, ამ დროისთვის შესრულებულია 11 271 600 ლარი. ხარჯები შემოსავლებს აჭარბებს, მაგრამ რადგან შემოსავლების დიდი ნაწილი ნოემბერში შემოდის, წლის ბოლოს აუცილებლად დარჩება ნაშთი, რომელიც გადადის შემდეგი წლის ბიუჯეტში და ეს სხვაობაც ამიტომაა.

2 730 000 უნდა იყოს დღგ და ამ დროისთვის უკვე შემოსულია 2 051 000 ლარი. ეს გადასახადი ბიუჯეტში ყოველდღიურად შემოდის და ამიტომაცაა, რომ შესრულების კარგ მაჩვენებელზეა. ქონების გადასახადის გეგმა იყო 650 000 ლარი, უკვე შესრულებულია 651 000 ლარი და ამ ორ თვეში კიდევ შემოვა. გასულ წლებში ეს გადასახადი 200 000 ლარს შეადგენდა, რომელიც ნელ-ნელა ყოველ წელს იზრდებოდა და 600 000 ლარს გადააჭარბა. რაც იმას ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტში ახალი ქონება იქმნება და იხდიან გადასახადს.

ჩვენ აგრარული რაიონი ვართ, ამიტომ მიწის გადასახადი ჩვენი ბიუჯეტის განმსაზღვრელია. 2 830 000 ლარია წლიური გეგმა, ამჟამად კი მხოლოდ 177 000 ლარია შემოსული. მიწის მესაკუთრეებს გადახდის ვადა 15 ნოემბრამდე აქვთ და ამ დროისთვის ეს თანხა სრულად შემოვა, ან გადააჭარბებს კიდეც გეგმას.

ქონების პრივატიზაციიდან შემოსული თანხებიდან წელს დაგეგმილი იყო 100 000 ლარი, მაგრამ შემოსულია 700 000 ლარი. ეს იმიტომ, რომ აქამდე სახელმწიფო მინას უფასოდ იყენებდნენ, ახლა გაიყიდა და გადასახადი შემოვა. უყურადღებოდ დატოვებული ქონება კი მუნიციპალიტეტს სარგებელს ვერ აძლევს. არასასოფლო სამეურნეო მიწის გადასახადის გეგმა იყო 40 000 , შემოსულია 7 700 ლარი.

გრანტებისა და ფონდების შემოსავლის გეგმა იყო 12 196 000 ლარი, შესრულება გვაქვს 5 932 000 ლარი. ეს მხოლოდ იმ მაჩვენებელს ასახავს, რა პროექტებიც უკვე დასრულდა და თანხა გავიდა. ის პროექტები, რომლებიც ჯერ არ დასრულებულა და ახლა მიმდინარეობს, ამ დროისთვის არ ანაზღაურებულა, ამიტომაც შესრულების მაჩვენებელზე ჯერ არ ასახულა. მიმდინარე პროექტების თანხები ჯერ სახელმწიფოსთვის არც მოგვითხოვია, არ ჩარიცხულა ჩვენს ბიუჯეტში და არ გადაგვირიცხია კონტრაქტორისთვის, ამიტომაც არ არის ასახული. მირზაანში ფიროსმანის მუზეუმთან მისასვლელი გზა კეთდება, ასევე სრულდება ქვემო ქედში გზა, თუმცა არც ის გადაგვიხდია. ზემო ქედის სპორტულ დარბაზს სახურავი შევუცვალეთ, სამრეკლოში კი ახალი ამბულატორია მოვაწყეთ, ისინი ორი თვის წინ დასრულდა და ეს შესრულების მაჩვენებელში უკვე ასახულია.

მსხვილი პროექტები: 4 820 000 ლარი მოხმარდება ხორნაბუჯის ციხესთან მისასვლელი გზის და ინფრასტრუქტურის განვითარებას. ტყეში გაყვანილია ბეტონის გზა განათებებით და სკამებით, მოეწყობა გადასახედები და გასართობი ინფრასტრუქტურა. რამდენიმე თვეში დასრულდება საშვილიშვილო პროექტი, რომელიც დალის წყალსაცავიდან დედოფლისწყაროს რეზერვუარში წყლის რესურსის ამოტანას ითვალისწინებს, ეს კი საშუალებას მიგვცემს ,უწყვეტი წყალი მივიღოთ. ამ მილით მივიღებთ წამში 80 ლიტრ წყალს, დედოფლისწყარო კი ზაფხულის პიკურ პერიოდში წამში 41-46 ლიტრი წყალს მოიხმარს. სწორედ ეს გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ორჯერ მეტი წყლის რესურსი გვექნება, ვიდრე ვხარჯავთ. მდინარე „იორის“ წყლის დედოფლისწყაროს რეზერვუარში ამოსატანად 41 მილიონი დაიხარჯება და რამდენიმე თვეში მშენებლობა უკვე დასრულდება. ჯამში კი წყლის პრობლემას 58 მილიონი მოხმარდება. მილსადენის დიდი ნაწილი დასრულებულია, შუალედური სადგური მზადაა და გვპირდებიან, რომ მაისის თვეში წყალი ამოვა, თუმცა მჯერა, ეს უფრო ადრეც მოხდება. არხილოსკალოსა და ზემო ქედში მიღწეულია წყლის 24 საათიანი გრაფიკი. ქვემო ქედშიც ვმუშაობთ, რომ უწყვეტი წყალი გვქონდეს. ზემო მაჩხაანის სიტუაცია საგრძნობლად გაუმჯობესდა და კიდევ დაემატება რესურსი.

ბუნებრივი წიაღისეულის მოსაკრებელი 2 020 000 ლარია დაგეგმილი, ახლა შემოსულია 943 400 ლარი.

ყოველწლიურად ფინანსთა სამინისტრო აცხადებს კონკურსს, ბიუჯეტის სწორად დაგეგმარებაზე. უკვე მესამე წელია დედოფლისწყაროს მერიის საფინანსო სამსახური ქვეყნის მასშტაბით ამ კონკურსში იმარჯვებს. ამისათვის ფინანსური ჯილდოც გადმოგვეცემა. პირველ წელს იყო 200 000 ლარი, შემდეგ 300 000 და ახლა 500 000 ლარი მიიღო საჩუქრად დედოფლისწყაროს ბიუჯეტმა. ეს კონკურსი გრძელდება და იმედი გვაქვს, მომავალ წლებშიც გავიმარჯვებთ.

როცა ჩვენი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ ქვეყანაში ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვაქვს და ხალხი კითხულობს ეს რაში აისახებაო, ახლავე გეტყვით რაში აისახება. წელს დაგეგმილი იყო 12 მსხვილი პროექტის დაფინანსება, მაგრამ სინამდვილეში დაემატა 4 სხვა პროექტი და 16 პროექტი დაფინანსდება. აი ამაში აისახება ზრდა.“

800 000 ლარამდე იხარჯება მოქალაქეთა სოციალურ უზრუნველყოფაზე. მათ შორის შედის 200 ბენეფიციარის ყოველდღიური კვება დედოფლისწყაროს სათნოების სახლში, რომელიც წელს 306 000 ლარით ფინანსდება.

ჯამში 5 200 000 ლარით ფინანსდება მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ები და შპს-ები. 31 ოქტომბრის საკრებულოს სხდომაზე კომუნალური მომსახურების ცენტრის წლიურ დაფინანსებას 250 000 ლარი დაემატა და მინდა გითხრათ, რომ ეს ყოველწლიურად მზარდი მაჩვენებელია. ეს იმითაა გამოწვეული, რომ წინა წლებში ნაგვის მანქანა სამრეკლოს იქით არ მიდიოდა, დღეს კი ნაგავმზიდი მანქანა ქვემო ქედამდე და მაჩხაანამდე მოძრაობს. მომავალ წელს ახალი ურნები მოგვივა და აუცილებლად ალაზნისპირა სოფლების მომსახურებასაც დავიწყებთ. გაიზარდა ასევე განათებული ქუჩების რაოდენობაც და ამიტომაა აუცილებელი ამ ხარჯების ზრდა. ამჟამად თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელ რაიონში მოწყობილია გარე განათება. უბანი არ არსებობს, სადაც გარე განათება არ არის. თუმცა, გვაქვს უბნები, სადაც რამდენიმე ლამპიონი აკლია. ასეთი მთელ მუნიციპალიტეტში შეიძლება იყოს მაქსიმუმ 20 ლამპიონი. ჩვენ „რეგ-ფონდის“ თანხებით რამდენიმე

სოფელში დავამატეთ ლამპიონები. ყოველთვე თითქმის 40 000 ლარს დენის გადასახადში ვიხდით, მხოლოდ გარე-განათებაზე.

უპატრონო ძაღლების პრობლემა მუდმივად აწუხებს მოსახლეობას. საერთაშორისო პარტნიორების დახმარებით კახეთის რვავე მუნიციპალიტეტმა ერთიანი ცენტრი ააშენა, სადაც მთელი კახეთიდან მიჰყავთ ძაღლები, ყველანაირ პროცედურას უტარებენ და დამუშავებულს უკან აბრუნებენ. ამაში წელს დედოფლისწყაროს ბიუჯეტიდან 35 000 ლარი დაიხარჯა, ეს მცირე თანხაა, მაგრამ იმედია, სამომავლოდ გაიზრდება.

დედოფლისწყაროს ჯანდაცვის ცენტრმა პანდემიის პერიოდში დიდი დატვირთვა შეიძინა. არცერთი დღე არ გაჩერებულან და საკუთარი ჯანმრთელობის რისკის ფასად მუშაობდნენ, პირველი შეხება ინფიცირებულებთან მათ ჰქონდათ. თავადაც რამდენჯერმე დაინფიცირდნენ. ჩვენი მხრიდან სათანადო მხარდაჭერა იყო, ახალთახალი მანქანა შევუძინეთ და გადავეცით, რომ მათი მუშაობა უფრო ეფექტური და ოპერატიული ყოფილიყო. ისინი მართლა დიდ საქმეს აკეთებენ, მაგრამ ყველაზე მცირე ხელფასი აქვთ. მათი ანაზღაურება დელეგირებულია და არ გვეძლევა შესაძლებლობა, რომ გავზარდოთ. თუმცა, მომავალ წელს რაიმე კანონიერი გზა უნდა გამოვნახოთ, რომ მათი სათანადოდ დაფასება მოხდეს.

ხელოვნების სკოლის ისტორია 60 წელზე მეტს ითვლის, ეს დასაფასებელი და მოსაფრთხილებელია. დარბაზი ბოლო ხანს გარემონტდა და კეთილმოეწყო, მაგრამ სცენა არ არის ფარდებით შემოსილი. მინდა ვთხოვო მერიის საფინანსო სამსახურს, რომ ჩვენი დაპირება შესრულდეს და წლის ბოლომდე ხელოვნების სკოლის დარბაზისთვის ფარდების შეძენა მოხდეს. აქვე მინდა ვახსენო გაზეთი „შირაქი“, რომელიც 1937 წლიდან გამოიცემა, საიუბილეო 85-ე წელი აქვთ და დასაფასებელია, რომ უძველესი რეგიონული გაზეთია და უწყვეტად გამოდის.

ჩვენ რომ ხელისუფლებაში მოვედით, ბაღების დაფინანსება 343 000 ლარი იყო მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით და საშინელ მდგომარეობაში იყო შენობები, დღეს 2 300 000 ლარამდეა გაზრდილი ბაღების წლიური დაფინანსება. ზემო მაჩხაანიდან საბათლოს ჩათვლით ბაღების შენობები რომ დავათვალიეროთ, ყველა სოფელში საუკეთესო მდგომარეობა გვაქვს. მომავალი წლის იანვრიდან საბათლოშიც გავხსნით ახალ ბაღს.

11 429 000 ლარი იხარჯება ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომელსაც უშუალოდ მერია აცხადებს. „რეგიონების განახლების პროგრამის“ ფარგლებში ქ. დედოფლისწყაროს ცენტრში ფასადების განახლება მიმდინარეობს და 10 მილიონი დაიხარჯა. სამთაწყარო-ფიროსმანის წნორთან დამაკავშირებელი გზის მშენებლობა მიმდინარეობს, რაზეც 20 მილიონი იხარჯება. არხილოში ლაშა ბექაურის დარბაზის მშენებლობა დაწყებულია და 5 მილიონი დაიხარჯება. 1 200 000 ლარი მოხმარდება კიკბოქსინგის დარბაზის აშენებას. ასევე სკოლების მშენებლობა მიმდინარეობს.

ქალაქ დედოფლისწყაროში, მერიის წინ, თამარ მეფის სკვერის რეაბილიტაცია მიმდინარეობს და წლის ბოლომდე ეს პროცესი დასრულდება. USAID-ის 100 000 ლარიანი გრანტი მოვიგეთ, რითაც ცენტრალური სკვერი კეთილმოეწყობა, შეიცვლება სკამები, განათება და აუცილებლად დამონტაჟდება კამერები, რომ შევინარჩუნოთ ქონება და ვანდალური ფაქტები თავიდან ავიცილოთ. სამწუხაროდ, ხშირად ხდება ქონების დაზიანება, ყველა სკამი და განათება დამტვრეული იყო.

სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაცია ხდება, რაზეც 147 000 ლარი დაიხარჯა. სამრეკლოსა და ხორნაბუჯის საჯარო სკოლების შენობებში შიდა ელგაყვანილობის სრულად აღდგენა მოხდა. ხორნაბუჯის სკოლას 93 722 ლარი მოხმარდა, ხოლო ზემო ქედის №1 სკოლას 48 277 ლარი.

წლევანდელი წელი ახალგაზრდობის წლად გვქონდა გამოცხადებული. 7 ახალი სტადიონის მშენებლობა და 10-ის აღდგენა მიმდინარეობს, ასე რომ წლის ბოლოს 17 სტადიონი გვექნება. კახეთის მასშტაბით პირველ ადგილზე ვართ სოფლის პროგრამებით დაგეგმილი სამუშაოების შესრულებით. ყველაზე ოპერატიულად დასრულდა სამუშაოები. 28 პროექტიდან 25 უკვე დასრულდა და სამი ახლა სრულდება.

ამ დროისთვის მერიაში 1826 წერილია შემოსული, ელექტრონული საქმისწარმოება ხდება და აღარ არის წერილების დაკარგვისა, თუ პასუხის გაუცემლობის შემთხვევები. ყველაზე მეტი წერილი ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურმა მიიღო. ინფრასტრუქტურის სამსახურში 153 განცხადებაა შესული ნებართვების შესახებ, ხოლო ზედამხედველობის სამსახურში 56 საჩივარი აქვს რეგისტრირებული.

39 860 ჰექტარი მიწა დამუშავდა, აქედან 81 600 ტონა ხორბალი მოიმკო, 41 700 ტონა ქერი, 2 800 ტონა მზესუმზირა. ყურძენი - 7 963 960 ლარი. წელს გაშენდა დამატებით 64 ჰექტარი ახალი ვენახი, ყოველ წელს დაახლოებით იგივე სურათი გვაქვს.

80 000 ლარი დაემატება საახალწლო განათებებისთვის, რომ საუკეთესო ქუჩის განათება გვქონდეს ახალ წელს.

ილია მარტყოფლიშვილი

C M Y K

ფიროსმანობის დღესასწაულთან დაკავშირებით უფასო ტრანსპორტი იმოძრავებს

ფიროსმანობის დღესასწაულთან დაკავშირებით უფასო ტრანსპორტი იმოძრავებს.

12 ნოემბერს, დედოფლისწყარო-მირზაანის მიმართულებით სამარშრუტო ტაქსები გავა ქ. დედოფლისწყაროს ცენტრიდან (შადრევნის მიმდებარე ტერიტორია) . გასვლის გრაფიკი: 12:00; 12:30; 13:00 სთ.

ქ. დედოფლისწყაროს მიმართულებით სამარშრუტო ტაქსები იმოძრავებს ფიროსმანის მუზეუმის ცენტრალური შესასვლელის ტერიტორიიდან. გამოსვლის გრაფიკი: 17:30;18:00; 18:30სთ.

ყურძნის სუბსიდირების სქემა იცვლება

ყურძნის სუბსიდირების სქემა იცვლება. როგორც ღვინის ეროვნული საგენტოს მენეჯმენტი განმარტავს, საუბარია ისეთი ტიპის ცვლილებაზე, რაც ხარისხიანი ყურძნის წარმოებას წაახლისებს და სახელმწიფოს საშუალებას მისცემს ფასის სუბსიდირებიდან გამოვიდეს.

„ზოგადად, სუბსიდირებას ობიექტური მიზეზები აქვს. ყველა ვაანალიზებთ, რომ დარგის გრძელვადიანი განვითარებისთვის უმჯობესია ნაკლებად ჩაერიოს სახელმწიფო საფასო კონიუნქტურაში. ამიტომ, ვმუშაობთ გარკვეულ სქემებზე, რომელიც წაახალისებს უფრო ხარისხიანი ყურძნის წარმოებას ან მოგვცემს საშუალებას ფასის სუბსიდირებიდან გამოვიდეთ.

ამ ეტაპზე სამწუხაროდ, მეტს ვერ მოგახსენებთ. უკვე დაწყებულია ანალიზი გასული წლის და წლევანდელი რთველის და ამ ანალიზის საფუძველზე, უახლოეს მომავალში გვინდა შევიმუშაოთ და გარკვეული კორექტივები შევიტანოთ სუბსიდირების მოქმედ სქემაში," - განაცხადა ლევან მეხუზლამ. მისივე თქმით, სახელმწიფოს სავარაუდოდ, გარკვეული ფორმით, სუბსიდირების შენარჩუნება მაინც მოუწევს, ხოლო, თუ როდის წარედგინება ახალი სქემა სექტორს, ჯერჯერობით, ცნობილი არ არის.

გაეროს წარმომადგენლები დედოფლისწყაროში

გაეროს განვითარების პროგრამის ,,სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში" საერთაშორისო კონსულტანტი კრისტიან ბუნიონ დე მორეტა და ამავე ორგანიზაციის ადგილობრივი კონსულტანტი ალექსანდრე შახნაზაროვი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს, ნიკოლოზ ჯანიაშვილს და საკრებულოს თავმჯდომარეს, ნუგზარ პაპიაშვილს შეხვდნენ.

,,სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში" ევროკავშირის მიერ ENPARD 3-ის ფარგლებში ხორციელდება, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავებას, დანერგვას და სოფლის განვითარების სფეროში წარმატებული პრაქტიკის დანერგვას.

კრისტიან მორეტა საერთაშორისო პარტნიორობის ფარგლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტებით დაინტერესდა.

აღინიშნა, რომ გაეროს განვითარების პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის, ENPARD 3 -ის ნაწილია,ის საქართველოს მთავრობის უშუალო ჩართულობით და საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან თანამშრომლობით ხორციელდება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, საერთაშორისო პარტნიორების მიერ საქართველოში განხორციელებული თითოეული პროექტი ჩვენი ქვეყნის განვითარების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს .

ავტომობილების მუქი ფერის გამონაბოლქვის მონიტორინგი სპეციალური ხელსაწყოებით განხორციელდება

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავტომობილების ვიზუალური გამონაბოლქვის კონტროლის შესახებ კანონპროექტზე მუშაობს.

მიუხედავად იმისა, ავტომობილს ტექინსპექტირება გავლილი ექნება თუ არა, მუქი ფერის გამონაბოლქვის შემთხვევაში, მას სამინისტროს ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები სპეციალური ხელსაწყოებით შეამოწმებენ.

„სამინისტრო, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, მუშაობს კანონპროექტზე, რომელიც ვიზუალური გამონაბოლქვის კონტროლს შეეხება. ეს გამოიწვევს ჩვენი სამინისტროს ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაძლიერებასაც, იქნება ეს ტექნიკური აღჭურვილობა თუ მონიტორინგის ჯგუფები, რომლებიც მსხვილ ქალაქებში სატრანსპორტო საშუალებებს დააკვირდებიან. ეს ინიციატივა მიზნად ისახავს სატრანსპორტო სექტორიდან მავნე გაფრქვევების მაქსიმალურად შემცირებას. ეს კანონი ტექინსპექტირების სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის დამატებითი კომპონენტი იქნება", — განაცხადა ნინო თანდილაშვილმა.

2023 წლიდან შშმ პირების სოციალური დახმარება გაიზრდება — კანონპროექტი

2023 წლიდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთათვის სოციალური დახმარება იზრდება. პარლამენტი „სოციალური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე უკვე მსჯელობს.

კანონპროექტის თანახმად, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვების სოციალური პაკეტი 65 ლარით იზრდება. სხვა კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა სოციალური პაკეტის ოდენობა კი 35 ლარით მოიმატებს.

აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური ზრდისა და ინფლაციის მაჩვენებლები დაბალი იქნება, სოციალური პაკეტის ზრდაც შედარებით ნაკლები იქნება, რაც ინდექსაციის პრინციპს უკავშირდება. ასეთ შემთხვევაში, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისთვის და შშმ ბავშვებისთვის გარანტირებული სოციალური პაკეტის ოდენობა მინიმუმ 25 ლარით, ხოლო ყველა სხვა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირების 20 ლარით გაიზრდება.

„შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა სოციალური პაკეტის ოდენობა განისაზღვრება, როგორც საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სოციალური გაზრდილი პაკეტი: მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისთვის და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებისთვის — ბოლო 12 თვის ინფლაციის საშუალო მაჩვენებლისა და ბოლო 6 კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) რეალური ზრდის მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკულის 80 პროცენტის ჯამით, მაგრამ არანაკლებ 25 ლარის ოდენობით.

ყველა სხვა კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთათვის — ბოლო 12 თვის ინფლაციის საშუალო მაჩვენებლით, მაგრამ არანაკლებ 20 ლარის ოდენობით", — აღნიშნულია კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

სოციალური პაკეტის ოდენობის ზრდა დაახლოებით 132 000 პირს შეეხება, რომელთა სოციალური პაკეტის ოდენობა 100-დან 419 ლარამდე მერყეობს. ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი პარლამენტში მთავრობის მიერაა ინიცირებული.

დედოფლისწყაროს პირველობა კალათბურთში ოზაანმა მოიგო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის დარბაზში გაიმართა დედოფლისწყაროს პირველობა სკოლებს შორის 3/3 ზე კალათბურთში. ტურნირი სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში ჩატარდა. როგორც გაზეთ „შირაქს" სპორტის სამსახურიდან აცნობეს, პირველი ადგილი ოზაანის საჯარო სკოლის გუნდმა დაიკავა. მეორე ადგილზე დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლა გავიდა, ხოლო მესამე ადგილზე არბოშიკის საჯარო სკოლა .

დედოფლისწყაროში ახალი ნოტარიუსი დაინიშნა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ახალი ნოტარიუსი დაინიშნა. ნათია მარუაშვილმა ვადის ამოწურვის გამო დედოფლისწყარო დატოვა და მუშაობას სხვა ქალაქში გააგრძელებს. იუსტიციის მინისტრის ბრძანების საფუძველზე მიმდინარე წლის 15 აგვისტოდან დედოფლისწყაროს ნოტარიუსად ნანა როსეფაშვილი დაინიშნა. ის სანოტარო საქმიანობას 10 ოქტომბრიდან შეუდგა. სანოტარო ბიურო კოსტავას №40-ში განთავსდება.

ნანა როსეფაშვილი „ლაგოდეხში დავიბადე და გავიზარდე, იქვე დავამთავრე საჯარო სკოლა, ამდენად ძალიან ბედნიერი ვიყავი, როცა გავიგე, რომ სამუშაოდ კახეთში მოვხვდი. გასაუბრების დროსაც მითითებული მქონდა, რომ კახეთის რეგიონში ვისურვებდი მუშობას. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კერძო პრაქტიკას გავდიოდი, შემდეგ ბორჯომის კულტურის სამსახურში ვმუშაობდი თანაშემწედ, მოგვიანებით კი იურისტად. შემდეგ ისევ კერძო პრაქტიკას ვაგრძელებდი. 2009 წლიდან სხვადასხვა უნივერსიტეტში სალექციო საქმიანობით ვარ დაკავებული. ამჟამად ვარ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. მანამდე თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი.

— რატომ ნოტარიუსის პროფესია, რას გმატებთ ეს სტატუსი?

— ბავშვობიდან მინდოდა ნოტარიუსობა. ჩემთვის ეს საოცნებო პროფესია იყო, ამდენად, დიდი ხანია პარალელურად ამაზე ვფიქრობდი. შემდეგში დისერტაციაც ამ თემებზე მქონდა მომზადებული. მაგალითად ანდერძის შესახებ, ეს კი სანოტარო საქმიანობასთანაა დაკავშირებული. 2015 წლიდან სალექციო კურსი მიმყავს სანოტარო სამართლის შესახებ, სამემკვიდრეო და მსგავს საკითხებზე. ასე რომ, ნოტარიუსის სტატუსის მიღება ერთერთ ყველაზე წარმატებულ და წინგადადგმულ ნაბიჯად მიმაჩნია ჩემს ცხოვრებასა და კარიერაში.

მინი დოსიე: დაიბადა 1980 წლის 2 მარტს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში. 1997-2002 წლებში სწავლობდა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე. 2009 წლიდან იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას უმაღლეს სასწავლებლებში. არის სტუ ასოცირებული პროფესორი. 2015 წელს სტუ ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტმა სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი მიანიჭა.

— გულწრფელად რომ გვითხრათ, არ არის ეს საქმე რუტინული?

— ნამდვილად არა!... როცა შენი საქმე და პროფესია ძალიან გიყვარს, ნამდვილად არ იქნება რუტინული. ყოველდღიურად სხვადასხვა ადამიანებთან შეხება გვიწევს, მათ პრობლემებს ვეცნობი და თავისთავად ეს პროცესი ჩემთვის ძალიან საინტერესოა. გარად ამისა, პედაგოგიური მოღვაწეობა ძალიან მავსებს. ეს გამოცდილება ადამიანებთან ურთიერთობას კიდევ უფრო მიადვილებს.

— როგორც ვიცი, აქ ნამყოფი არ ყოფილხარ, რა იცოდით დედოფლისწყაროს შესახებ და როგორია პირველი შთაბეჭდილებები?

— გეთანხმებით. ისე მოხდა, რომ მანამდე აქეთ არ ვყოფილვარ, თუმცა ჩამოსვლისთანავე, პირველი შთაბეჭდილებები პოზიტიური იყო. ძალიან კმაყოფილი ვარ, აქ კარგი გარემო და ხალხი დამხვდა. კეთილგანწყობით მიმიღეს, კარგი დამოკიდებულება ვიგრძენი ადგილობრივებისგან და ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს. მანამდე ვიცოდი, რომ დედოფლისწყაროში ვაშლოვანის ნაკრძალია, ფიროსმანია დედოფლისწყაროდან, რომ აქ კარგი ხორბალი მოჰყავთ. დანარჩენს ახლა ვეცნობი და სამი წლის გატარებას თქვენს მუნიციპალიტეტში ვაპირებ. მზად ვარ დედოფლისწყაროელებს დავეხმარო ჩემს კომპეტენციაში შემავალი საშუალებებით. ახლადდანიშნული ნოტარიუსი ვალდებულია პირველი ვადით, სამი წლის განმავლობაში რეგიონში იმუშაოს, რადგან ქვეყნის მასშტაბით ყველა მოქალაქისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს ნოტარიუსის მომსახურება. ასეთია სახელმწიფოს მიდგომა. ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით 10:00-დან 17:00 საათანდე მაქვს მიღება, ხოლო პარასკევს 9:00-დან 12:00 მდე.

— რაიმეს დათვალიერება თუ მოახერხეთ ჩვენს მუნიციპალიტეტში?

— სამწუხაროდ, ჯერ გადატვირთული გრაფიკის გამო ვერაფრის მონახულება ვერ შევძელი, მაგრამ რა თქმა უნდა, ვგეგმავ და შემოთავაზებებიც მაქვს. ძალიან მინდა ვაშლოვანის ნაკრძალი დავათვალიერო, ფიროსმანის ეზო და მუზეუმი მინდა ვნახო. იმედი მაქვს, მალე შევძლებ“...

ილია მარტყოფლიშვილი

დედოფლისწყაროს საავადმყოფოს ახალი სამედიცინო ტექნიკა გადაეცა

რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დედოფლისწყაროს სამედიცინო დაწესებულებას სამედიცინო ტექნიკა გადაეცა. პირველადი ჯანდაცვის რგოლის მხარდამჭერი პროექტის ფარგლებში საავადმყოფოს სათანადო აღჭურვილობა „ქეა კავკასიამ“ გადასცა. სამედიცინო ტექნიკა კლინიკის არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე შეირჩა. ახალი ტექნიკა დედოფლისწყაროს სამედიცინო დაწესებულების ექიმებს პაციენტების მართვისა და დიაგნოსტირების ხარისხის გაუმჯობესებაში დაეხმარება. ახალი ტექნიკა დედოფლისწყაროს სამედიცინო დაწესებულებაში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დირექტორმა გიორგი აბაიაძემ „ქეა კავკასიის“ წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერეს.

„ქეა კავკასია“ (**CARE Caucasus**) საქართველოსა და კავკასიის რეგიონში სიღარიბისა და უთანასწორობის შესამცირებლად 30 წელია მუშაობს. პროექტი, რომელიც ყველაზე მოწყვლად ჯგუფებზე კოვიდ19-ის გავლენის შემცირებას ითვალისწინებს, „ქეა საერთაშორისო ბრიტანეთთან“ (**CARE International in UK**) თანამშრომლობით 2022 წლის თებერვლიდან

ხორციელდება. პროექტს რამდენიმე კომპონენტი აქვს, მათ შორისაა პირველადი ჯანდაცვის რგოლის მხარდაჭერა ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში.

ხათუნა აგლაძე (შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ დედოფლისწყაროს სამედიცინო დაწესებულების კლინიკური მენეჯერი): „ეს აპარატურა ჩვენი რაიონისთვის მართლა დიდი საჩუქარია და ის ხელს შეგვიწყობს პაციენტების მკურნალობის პროცესის გაუმჯობესებაში. ამჯერად გადმოგვეცა ავადმყოფის 5 მონიტორი, ორი ელექტრო კარდიოგრაფის აპარატი, ექოსკოპიის პორტატული აპარატი, გულ-ფილტვის რეანიმაციის ტუმბო, დეფიბრილიატორი.“

ნიკოლოზ ჯანიაშვილი (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი): „არაჩვეულებრივი საჩუქარი გაუკეთეს ჩვენს მუნიციპალიტეტს და მის თითოეულ მოქალაქეს. საკმაოდ ხარისხიანი და ძვირადღირებული აპარატურა გადმოგვეცა. ეს ტექნიკა ძალიან წაადგება პოლიკლინიკასა და საავადმყოფოს. მთავარი ისაა, რომ ბევრად გააუმჯობესებს ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვის ხარისხს. მადლობა მინდა ვუთხრა ამ ორგანიზაციას, რომელმაც მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გამოგვიცხადა“.

ომში დაღუპულ გმირთა მემორიალის რეაბილიტაცია დაიწყო

დედოფლისწყაროს ცენტრალურ მოედანზე არსებული გმირთა მემორიალის რეაბილიტაცია დაიწყო. სამუშაოები რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება. მოედნის რეაბილიტაციასთან ერთად მემორიალის აღდგენის აუცილებლობაც დადგა.

გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, ხომ არ შეიცვლება მემორიალური ძეგლის იერსახე და ამ თემაზე სასაუბროდ დედოფლისწყაროს მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსს, სოლომონ ღორაშვილს შეხვდა.

ის „შირაქთან“ საუბრისას განმარტავს, რომ ძეგლის რეაბილიტაციის პროცესში აუცილებლად დაცული იქნება საავტორო უფლებები, შენარჩუნებული იქნება ფილების ფერი და მაქსიმალურად გაითვალისწინებენ ესკიზის ავტორის სურვილებს.

შეგახსენებთ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა უკვდავსაყოფად ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრში ძეგლი 2012 წელს დაიდგა. მისი ესკიზი სპეციალურად გამოცხადებული კონკურსის წესით, მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად შეირჩა და გამარჯვებული რამდენიმე ვარიანტს შორის აირჩა. მემორიალის ესკიზის ავტორია ადგილობრივი ვასილ ნასიბოვი, რაშიც მას მერიამ თავის დროზე 1000 ლარიანი ჯილდო მისცა

ოზაანში 120 ბავშვზე გათვლილი სკოლა შენდება

სოფელ ოზაანში 1992 წლიდან დაგეგმილი და რამდენჯერმე ჩაშლილი ახალი სკოლის მშენებლობა დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაიწყო. „შირაქმა“ სამშენებლო მოედანი მოინახულა და დეტალებით დაინტერესდა. ამ დროისთვის უკვე გაჭრილია საძირკველი და პერიმეტრი მთლიანად ხარაჩოებში ზის. ჩასხმულია საძირკველი და პირველი სართული. პირობა ხორცს ისხამს. ადგილობრივების მრავალწლიანი ოცნება, რომ ახალი სკოლა ჰქონოდათ, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით რეალობად იქცა. ადგილობრივები სამუშაოების დასრულებას მოუთმენლად ელიან.

„შირაქის“ ინფორმაციით, სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ემ-სი-გრუპი“ ახორციელებს. კომპანიამ ახალი სკოლის მშენებლობა 2 828 781 ლარად უნდა უზრუნველყოს. როგორც ოზაანის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნინო მეხრიშვილი „შირაქს“ ეუბნება, სამშენებლო სამუშაოები აქტიურ ტემპში მიმდინარეობს. ოზაანი დედოფლისწყაროში ერთადერთი სოფელია, სადაც სასკოლო შენობა ყველაზე რთულ მდგომარეობაშია. ახალი სკოლის მოლოდინში 30 წელი გავიდა და არაერთ თაობას მოუწია არასათანადო სკოლასა და გარემოში მიეღო საშუალო განათლება.

ოზაანის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნინო მეხრიშვილი „შირაქს“ ეუბნება, რომ 120 მოსწავლეზე გათვლილი შენობა 20 თვეში უნდა დასრულდეს.

„როგორც ხელშეკრულებითაა განსაზღვრული, 2024 წლის ზაფხულში უნდა დასრულდეს მშენებლობის პროცესი და თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით, ვადების დაცვით წარიმართება, სავარაუდოდ, 2023-24 სასწავლო წელს, ოზაანის საჯარო სკოლა ახალ შენობაში დაიწყებს სასწავლო პროცესს. თვალყურს ვადევნებთ მშენებლობის მიმდინარეობას და ბედნიერები ვართ, რომ კედლები მაღლა მიიწევს,“ - აღნიშნავს ნინო მეხრიშვილი.



გულნარა ქოჩეჩაშვილი (დამსახურებული პედაგოგი): „ოზაანში 1967 წელს ჩამოვედი, მაშინ დიდი სკოლის შენობა იყო, დიდი ოთახებით. მაგრამ 1969 წელს აშენდა ის შენობა, რომელშიც ახლა სწავლობენ და საშუალო სკოლად შემდეგ გადაკეთდა. მანამდე რვაწლედი იყო, აქ 20 კვადრატული ოთახებია და სწავლისთვის სრულყოფილი პირობები არ არის. პატარა, მაგრამ კარგი შენობა იყო. ბავშვთა რაოდენობაც დიდი იყო. ჩემთვის ძალიან დამამცირებელი იყო, რომ კინოს შენობა გადააკეთეს და იქ დარბაზის გადატიხვრით მოაწყეს კლასები. ვერც ბავშვები ეტეოდნენ და მერხების საზურგეზე ისხდნენ. წარმოუდგენელი უსამართლობა იყო. პირველად, ზვიად გამსახურდიას დროს ითქვა, რომ ახალი სკოლა უნდა აშენებულიყო, მას შემდეგ ველოდებით. პროექტიც შედგა, მაგრამ ნახაზის მიხედვით ერთერთი ადგილობრივი ოჯახის ეზოში მოხვდებოდა შენობა. ისინი კი ამაზე დაობდნენ, ბევრი ნაცნობი ჰყავდათ ხელისუფლებაში და ხელი შეუშალეს სკოლის მშენებლობას. ისე გამოვიდა, რომ ამ ერთი ოჯახის გამო სოფელმა ახალი სკოლა დაკარგა. მათ პრინციპულობა გამოავლინეს და არ დათმეს სოფლის სასარგებლოდ. შემდეგ სხვა ადგილი გამოინახა და საძირკველიც ჩაესხა, მაგრამ არეული 90-იანი წლები იყო და ვერ გაგრძელდა მშენებლობა. იმავე ადგილზე აშენებენ დღესაც. ახლა ისე უჭირს მოსახლეობასაც და ქვეყანასაც, რომ მართლა არ მეგონა, თუ ახალი სკოლა აშენდებოდა. ნუ გაგიკვირდებათ ამას რომ ვამბობ, ახლა ისეთი ვითარებაა, მიკვირს, როგორ გამონახეს თანხა. ისეთი დიდი მოლოდინი მაქვს, რომ 80 წლის ქალი გასულ კვირას ფეხით წავედი, ეზოში მშენებლობა რომ მენახა. ვნახე მუშები და იქ გამოკრული ფოტო. ძალიან უხარიათ ბავშვებს, ეს დიდი მოვლენაა ოზაანისთვის. თუმცა, ისმის პრეტენზიებიც, ზოგს თითქოს ადგილი არ მოსწონს, ზოგი ამბობს, შორს არისო“.

კმაყოფილებას არ მალავენ და სამუშაოების დასრულებას მოუთმენლად ელოდებიან ოზაანელებიც. სოფელში ახალ სკოლას ადგილობრივების ნანატრ ოცნებას უწოდებენ და ამბობენ, რომ ეს ყველაზე საშვილიშვილო საქმეა ოზაანელებისთვის.

„ეს სკოლის აშენების აღარავის სჯეროდა. უიმედოდ ვიყავით. ხალხს ვერც გაამტყუნებ, იმდენჯერ ითქვა და დაგვპირდნენ, იმდენჯერ ჩაიშალა, რომ სოფელმა იმედი დაკარგა. ხელისუფლებები იცვლებოდნენ, მაგრამ ამ საკითხს საშველი ვერაფრით დაადგა. თაობები გაიზარდნენ ისე, რომ მუდმივად ახალი სკოლის მოლოდინი ჰქონდათ და მათი შვილებიც ვერ მოესწრნენ მშენებლობის დაწყებას. არადა 90-იან წლებში ქვებიც კი მოზიდეს, მაგრამ ვერ დაიძრა პროცესი. ახლა ხარაჩოებს რომ ვხედავთ და ეზოში მუშები ფუსფუსებენ, მაინც ვერ ვიაზრებთ, რომ სკოლა გვეღირსება და ახალ, თანამედროვე სტანდარტების შენობაში მივლენ მოსწავლეები. ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივაა და მერმაც ძალიან იაქტიურა, ამიტომაც გადაიჭრა ეს საშვილიშვილო საკითხი,“ - აცხადებენ ოზაანელები.

როგორ გათბება სკოლები და ბაღები დედოფლისწყაროში?

წლევანდელ ზამთრის სეზონს სასწავლო დაწესებულებები ახალი რეგულაციებით ხვდებიან. საჯარო სკოლებში შეშის გამოყენება იზღუდება. საბავშვო ბაღებში კი ბუნებრივი აირის გამოყენება აიკრძალა, ისინი ელექტროენერგიით გათბებიან და საკვებსაც ელექტრო ღუმელზე მოამზადებენ. ამის გამო საბავშვო ბაღების სპეციალური ტექნიკით გადაიარაღება მოხდა. „შირაქი“ დაინტერესდა, როგორ ხვდება ზამთრის სეზონს დედოფლისწყაროს საჯარო სკოლები და საბავშვო ბაღები.

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მაკა ჯანაშვილი „შირაქს“ ეუბნება, რომ სკოლების უმრავლესობაში ცენტრალური გათბობა მოქმედებს, სისტემა მწყობრშია და სკოლებში გათბობა 15 ნოემბრიდან ჩაირთვება. მისი თქმით, მოგვარებულია სკოლების საწვავი მასალით მომარაგების საკითხიც.

მაკა ჯანაშვილი (საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი): „გათბობის საკითხი ყველა სკოლაში მოგვარებულია და როგორც წესი, 15 ნოემბრიდან ჩაირთვება. უმეტესი სკოლები ცენტრალური გათბობის სისტემით თბება და სისტემები გამართულია. იმ სკოლებში, სადაც არ არის გათბობა, კვლავ ღუმელი დაიდგმება, მაგრამ რეგულაციებია შეცვლილი და შეშის შეძენა აღარ შეიძლება. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, სკოლებმა კარგად იმუშავეს, წინასწარ გაიგზავნა მოთხოვნა, ვის რამდენი კუბური მეტრი სათბობი მასალა ესაჭიროებოდა და ყველა ასეთი სკოლა მიიღებს სპეციალურად დამზადებულ ბრიკეტებს შეშის ნაცვლად. პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს, უკვე გაფორმებულია ხელშეკრულებები, განსაზღვრულია ბრიკეტების მიწოდების ვადები. ვფიქრობ, ოთახების გასათბობად სკოლებში პრობლემა არ იქნება.“



საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინფორმაცია „შირაქმა“ თავად სოფლებში გადაამოწმა და ადგილზე არსებული ვითარებით დაინტერესდა.

მაია სიმონიძე (არხილოსკალოს საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი): „ჩვენი საკლასო ოთახები ძირითადად მზის მხარესაა და სკოლაში ჯერ საკმაოდ თბილა, არ დაგვჭირვებია გათბობის ჩართვა, მაგრამ როგორც კი ტემპერატურა დაიწევს და აცივდება,ჩავრთავთ გათბობას,რათა ბავშვების ჯანმრთელობას საფრთხე არ შეექმნას. ამჟამად შეშა გვაქვს იმდენი, რომ პირველ სამესტრში გვეყოფა. ბრიკეტი განათლების სამინისტრომ შეგვისყიდა, მოთხოვნა გვქონდა 10 ტონაზე და ველოდებით. ხელშეკრულება დადებულია და გრაფიკის მიხედვით, წლის ბოლომდე მოგვიტანენ. ღუმელებიც განახლებულია, ზაფხულში ვიჭერთ თადარიგს და ვემზადებით. გათბობასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ გვაქვს.

მანანა ჭიღიტაშვილი (არბოშიკის საჯრო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი): „ამჟამად გვაქვს წლის დასაწყისში შეძენილი შეშის ნარჩენი, 8 კუბი იქნება, ხმელი შეშაა და გამოვიყენებთ. სასწავლო წლის დასაწყისში სამინისტროს მივაწოდეთ მოთხოვნა, რომ წელს გვესაჭიროება 2 ტონა ბრიკეტი, რომელიც დაახლოებით 8-10 კუბი გამოვა. მათ მოგვაწოდეს ბრიკეტების მიმწოდებლების სია და უკვე გაფორმებული გვაქვს ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს მიმდინარე წლის ბოლომდე, ანუ დეკემბრის ჩათვლით ხსენებული 2 ტონა ბრიკეტის მოწოდებას. ღუმელს რაც შეეხება, გასულ წელს განვაახლეთ და რამდენიმე ახალი შევიძინეთ. საკლასო ოთახებშიც და კაბინეტებშიც ახლა (3 ნოემბერს) დავიწყეთ დადგმა და პრობლემა არ გვაქვს. უკვე ვანთებთ, არ ველოდებით 15 ნოემბერს, როგორც კი აცივდება, ვცდილობთ ოთახები გავათბოთ, თუ ცივი ამინდია,ზოგჯერ აპრილშიც გვინთია.“

თამარ ჩიხლაძე (სამრეკლოს საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი): „ჩვენთან ცენტრალური გათბობა 2016 წლიდან მოქმედებს. ასე რომ, ამ სეზონისთვისაც სრულიად მზად ვართ. 2 ნოემბერს გვქონდა საცდელი ჩართვა, ვსინჯეთ რაიმე ხარვეზი ხომ არ არსებობდა. სისტემა გამართულად მუშაობს, სრულ მზადყოფნაშია და ამინდის მიხედვით, როცა აცივდება და საჭიროება დადგება, მაშინვე ჩავრთავთ“.

დედოფლისწყაროს სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის უფროსი **ირმა ჯანაშვილი** ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველა საბავშვო ბაღში გათბობის სისტემა გამართულია. ყველა აღსაზრდელისთვის თბილი ოთახები ყველა სოფელში უზრუნველყოფილია.

გვერდი მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

შრომის ბაზარი ანუ «დაელოდეთ, დაგიკავშირდებიან»...

საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი თავისუფალი შრომის ბაზრის არსებობაა, რომლის პირობებშიც თითოეულ ადამიანს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს საკუთარი შრომის უნარი. საბაზრო ურთიერთობები უზრუნველყოფს შრომითი საქმიანობის აქტივიზაციას და რადიკალურად ცვლის შრომითი პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობას, შრომისადმი დამოკიდებულებას, შრომის მწარმოებლურობასა და ხარისხს.

აღნიშნულის მიუხედავად, რეალურად მაინც არსებობს გარკვეული დისბალანსი სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, რაც საზოგადოებისათვის მეტად არასასურველ მოვლენას–ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის უმუშევრობას განაპირობებს. სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის თანაფარდობა (შრომის ბაზრის კონიუნქტურა) შრომის ბაზრის მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რომელიც სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით მუდმივად იცვლება. ამიტომ, საჭიროა მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისობის სისტემატური შესწავლა და შეფასება. სახელდობრ:

***ინფორმაციის მოპოვება და სისტემატიზაცია;**

***სამუშაო ძალის მიწოდებასა და მოთხოვნაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა;**

***თითოეული ფაქტორის მიხედვით ინფორმაციის დაჯგუფება და განზოგადება;**

***ანალიზის შედეგად გამოვლენილი თანაფარდობებისა და პროპორციების აღწერა და კანონზომიერებების დადგენა;**

***შრომის ბაზრის ფუნქციონირების ძირითადი ტენდენციების გამოვლენა და სხვ.**

სამუშაო ძალაზე მოთხოვნა აგრეგირებული (საერთო, განზოგადებული, მთლიანი მაჩვენებლების (სიდიდის) მიღების მიზნით რაიმე ერთგვაროვანი მაჩვენებლების (სიდიდეების) გაერთიანება, შეჯამება) მაჩვენებელია და მასში აისახება ამ მოთხოვნის წარმომშობი ბევრი ეკონომიკური მოვლენა და პროცესი. სამუშაო ძალის მოთხოვნაზე მოქმედ ფაქტორებს პირობითად ყოფენ მაკრო და მიკროეკონომიკურ ფაქტორებად, თუმცა, ერთმნიშვნელოვნად მათი განცალკევება შეუძლებელია, რადგან ბევრი ფაქტორი ორივე დონეზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს.

არახალია, რომ საქართველო მუდმივად განიცდის კადრების დეფიციტს. განსაკუთრებით ეს პრობლემა პანდემიის პერიოდში გამწვავდა. კადრების მოძიება ყველა სექტორს უჭირდა და უჭირს. სპეციალისტები იმ მიზეზებზე საუბრობენ, რომელთა გამოც ქვეყანაში მუშახელის მოძიების პრობლემა გაჩნდა.

ერთ-ერთი პრობლემა არასაკმარისი კვალიფიკაციაა. თუმცა, ფაქტია, რომ ხშირ შემთხვევაში, ანაზღაურებაც საკმაოდ შეუსაბამოა. საქართველოს ბიზნესასოციაციის კვლევის მიხედვით, გამოკითხული კომპანიების 60.2%-ის მოსაზრებით, უმთავრესი მიზეზი, რაც თანამშრომლების მოძიებას ართულებს, აპლიკანტთა არასაკმარისი ცოდნის დონეა, რაც სამი ძირითადი ფაქტორით არის განპირობებული: საქართველოში არსებული საგანმანათლებლო პროგრამები არ შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები ძალიან მწირია ან საერთოდ არ არსებობს. მათივე კვლევის მიხედვით, არასაკმარისი ცოდნის დონის გამო, კომპანიებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოძიება უჭირთ - გამოკითხულთა 47.6% ამბობს, რომ ასეთი თანამშრომლების მოძიება განსაკუთრებით რთულია. მაშინ, როცა, გამოკითხულთა 55%-ის შეფასებით, დაბალი კვალიფიკაციის კადრების მოძიება არ წარმოადგენს სირთულეს ან მცირე სირთულეებთან არის დაკავშირებული.

„ბოლო მონაცემებით, საქართველოში უმუშევრობის დონე 22%–ზე მეტია, ანუ ყოველი 100 ეკონომიკურად აქტიური ადამიანიდან 22 უმუშევარია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რამდენია ქვეყნიდან წასული, გამოდის, რომ ჩვენი შრომის ბაზარი ვერ იტევს ყველა მსურველს. მათი ნაწილი ქვეყანაში რჩება და ბედის გაღიმებას ელოდება – სამსახურის შოვნამ, გამართლების მხრივ, ტოტალიზატორის დატვირთვა მიიღო".

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO-ს) ყოველწლიურად განახლებად ანგარიშში, რომელშიც წარმოდგენილია მსოფლიოს მასშტაბით შრომის ბაზართა კვლევებისთვის საჭირო ძირითადი ინდიკატორები, განათლების დონისა და კვალიფიკაციის აღწერისა და გაზომვის მეთოდოლოგიაში გამოყოფილია რამდენიმე ასპექტი, რომელიც ორ ძირითად მიმართულებას აერთიანებს: საგანმანათლებლო მიღწევებსა და წიგნიერების დონეს და უნარების შესაბამისობა/შეუსაბამობას ბაზრის მოთხოვნასთან. სამუშაო ძალის კვალიფიკაციის გაზომვის საუკეთესო ინდიკატორად შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია განიხილავს ქვეყნის შიგნით არსებულ საგანმანათლებლო სისტემას და მის მიღწევებს, რაზეც პირდაპირ არის მიბმული მოსახლეობის წიგნიერების ან სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დონე; თავის მხრივ, საგანმანათლებლო მიღწევები

მნიშვნელოვან შედეგს იძლევა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლისა და კეთილდღეობის სტანდარტის გაუმჯობესებისათვის, რადგან დიდწილად ამ მიღწევებზეა დამოკიდებული, თუ რამდენად კონკურენტუნარიანია ეროვნული მასშტაბით ამა თუ იმ ქვეყნის სამუშაო ძალა კვალიფიკაციის ხარისხით. კვალიფიკაციის მაღალი ხარისხი კი, შესაბამისად, ერთ-ერთი კომპონენტია შრომის ანაზღაურებისა და ცხოვრების სტანდარტის დონის გაზრდისათვის.

აქ ორმაგ მიზეზ-შედეგობრიობაზე შეგვიძლია ვისაუბროთ -თუ საგანმანათლებლო მიღწევების საფუძველზე ქვეყნის შიგნითვე იქმნება ის ტექნოლოგიები, ცოდნა და მანქანა-დანადგარები, რომლებიც ზრდის კვალიფიკაციაზე მოთხოვნას, ერთი მხრივ, ეს გრძელვადიან პერსპექტივაში გაზრდის უნარების მიწოდების დონეს, ხოლო მეორე მხრივ, აქვს პოტენციალი, გამოიწვიოს ქვეყანაში დაბალკვალიფიციური და დაბალანაზღაურებადი მუშახელის პროგრესულად შემცირების ტენდენცია. მეორე მიზეზ-შედეგობრიობა - რადგან პირდაპირ თუ ირიბად, ყველა ქვეყანაში დღეს კვლავ ადამიანური რესურსები წარმოადგენს ყველაზე პროდუქტიულ და ღირებულ შრომით რესურსს, ტრადიციულად, ქვეყნები დამოკიდებულნი არიან მუშახელის ჯანმრთელობაზე, სიძლიერესა და ბაზისურ უნარებზე, რაც აუცილებელი პირობაა წარმოების, მოხმარებისა და ვაჭრობისათვის, შესაბამისად, სწორედ ამ ადამიანური რესურსის დამაკმაყოფილებელი ცხოვრების სტანდარტები და წიგნიერების დონე განაპირობებს საგანმანათლებლო მიღწევების განვითარების წინაპირობას.

„ქართული ბიზნესის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა“, - ამის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ლევან დავითაშვილმაც განაცხადა. **„ბიზნესს აქვს თავისი კვლევა. საუბარი გამოწვევებზეც იყო. დასახელდა ყველაზე მწვავე პრობლემა - სამუშაო ძალის ნაკლებობა, მათ შორის კვალიფიციურის. ამ პრობლემას ორი ნაწილი აქვს: ზოგადად, სამუშაო ძალის და კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. კვალიფიციური კადრების ნაკლებობას ჩვენი ბიზნესი წლებია რაც განიცდის და საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაც სწორედ ეს არის. სწორედ ამიტომ, ქვეყანაში დაწყებულია განათლების რეფორმა, რომლის ფარგლებშიც უნდა გაგრძელდეს პროფესიული განათლების მიღების საკითხი. ამგვარად, საჭიროა, რომ ქვეყანაში მიმდინარე განათლების კომპლექსური რეფორმა, რომელსაც ძალიან დიდი აქცენტები აქვს პროფესიულ და უფრო პრაქტიკულ განვითარებაზე, რაც კერძო სექტორს საჭირდება, უნდა გაგრძელდეს“**, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა. ამასთან, ეკონომიკის მინისტრის თქმით, ბიზნესის ტრანსფორმაციაც მოხდება. უნდა გაიზარდოს პროდუქტიულობა, თუმცა, უნდა განვითარდეს ტექნოლოგიებიც. გარდა ამისა, ეკონომიკის მინისტრი ამბობს, რომ პრობლემა ნამდვილად კომპლექსურია, რაც ეხება სამუშაო ძალის გადინებას.

სამუშაო ძალის გადინებასთან ერთად, ხდება მოთხოვნის გაზრდაც. ეკონომიკის დოქტორი აკაკი ცომაია, ონლაინ გამოცემა „ნეტგაზეთთან “ საუბარში აღნიშნავდა, რომ „სამუშაო ძალაზე მოთხოვნის გაზრდა ეკონომიკური ზრდის ტემპიდან გამომდინარე მოხდა, რაც გულისხმობს მოულოდნელად მეტი ტურისტის მიღების საჭიროებას ქვეყანაში. როგორც ჩანს, ფირმებს მომსახურების სექტორში სჭირდებათ დამატებითი ოფისების გახსნა და საჭიროებენ დამატებით მუშახელს, რის გამოც გამწვავდა დეფიციტის პრობლემა, რომელიც, როგორც ჩანს, იქმნება უკვე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. რაც შეეხება სამუშაო ძალის მიწოდების შემცირებას, რაც წარმოქმნის ამ დეფიციტს, განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ სამუშაო ძალა დღეს გლობალურ ეკონომიკაში გახდა რესურსი, რომელიც იყიდება, ქირავდება საერთაშორისო ბაზარზე. ვგულისხმობ იმას, რომ:

- ***საქართველოდანაც შესაძლებელია საზღვარგარეთ მომსახურების გაწევა და გარკვეულ სექტორებშიც არის მოთხოვნა;***
- ***ქვეყნის ფარგლებს გარეთ ფართოდაა გაზრდილი დასაქმების შესაძლებლობები და მიგრაციის მაჩვენებელიც, გადინებაც ძალიან მაღალია.“***

ფაქტია, ვხედავთ, რომ საქართველოდან გამორჩეული, ეფექტური სამუშაო ძალა უცხოეთში ინაცვლებს. ეს ტენდენცია იგრძნობა და ამ მხრივ პრობლემებს შრომის ბაზრის ყველა სეგმენტში ვაწყდებით. საუბარია კვალიფიციურ მუშახელზე, რომელთა მოძიებაც გაზრდილ სახელფასო პირობებშიც კი პრობლემაა. შესაბამისად, საქართველოში რესურსი მცირდება. სულ უფრო მეტ სავაჭრო, კვების თუ მომსახურების ობიექტზე დაინახავთ განცხადებას თანამშრომლის საჭიროების შესახებ, რომლის ძიება შეიძლება თვეობითაც კი გაგრძელდეს. შედეგი კი, ბოლოში, ალბათ, იგივე იქნება – თვეობით მომლოდინე ბიზნესი და კვალიფიკაციის მქონე ადამიანების ნიჰილიზმი დასაქმების არასათანადო კრიტერიუმების მიმართ.

მოამზადეს
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა
ხათუნა ბენაშვილმა

მოხალისეობის რეგიონული ფორუმი 2022

2022 წლის 31 ოქტომბერს, ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა“ ფარგლებში, განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის (EDEC) და კახეთის რეგიონული ჰაბის ორგანიზებით, თელავში, ლოპოტა სპა რეზორტში, რეგიონული ფორუმი „სამოქალაქო საზოგადოება მოხალისეობის განვითარებისათვის“ გაიმართა.

ფორუმი შესავალი სიტყვით გახსნა მაია მამულაშვილმა, კახეთის რეგიონული ჰაბის, „მედია ცენტრი კახეთის (MCK) დირექტორმა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას ფორუმის მნიშვნელობასა და არსზე ესაუბრა: „ფორუმის მიზანია: კახეთის რეგიონის ახალგაზრდების აქტიური ჩართვა ადგილობრივი თემის საჭიროებების გადაწყვეტაში, მოხალისეობის კულტურის პოპულარიზაცია, მოხალისეების მიმღებ ორგანიზაციებსა და მოხალისეობით დაინტერესებულ პირებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა, ახალგაზრდული საბჭოების როლის და საქმიანობის პოპულარიზაცია. ასევე, მოსახლეობაში რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცნობადობის გაზრდა, მათი საქმიანობის, განხორციელებული პროექტების შესახებ რეგიონის მოსახლეობის ინფორმირება და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ ნდობის ამაღლება“ - აღნიშნა მან.

აუდიტორიას ასევე სიტყვით მიმართეს აღმასრულებელმა დირექტორმა- ნათია ნამიჭეიშვილმა, (განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრიდან (EDEC)) და პლატონ კალმახელიძემ, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ კახეთის მხარეში. მათ სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობის, ურთიერთდახმარებისა და ახალგაზრდული ინიციატივების მნიშვნელობასა და მხარდაჭერაზე ისაუბრეს.

ფორუმში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდებმა (უფროსკლასელები, სტუდენტები), მოხალისეებმა, სამოქალაქო აქტივისტებმა, პედაგოგებმა, ადგილობრივი არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციების, თვითმმართველობების, მედიის, და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლებმა. ფორუმის ფარგლებში, მოწვეული სტუმრებისათვის წარდგენილი იყო მათი მხარდაჭერისა და ინტერესის მოპოვების მიზნით.კახეთის რეგიონში განხორციელებული შემდეგი მოხალისეობრივი ინიციატივები:

* ღია კინოთეატრი ლაგოდეხში- გიორგი ედიშერაშვილი, ახალგაზრდული მუშაკი;
* სამაგიდო თამაშები - გიორგი ბეჟანიშვილი, სამოქალაქო აქტივისტი;
* ჩურჩხელეგი ფრონტზე - მაკა ხაზიური, ჟურნალისტი;
* გარე-მარე- კახაბერ სუხიტაშვილი, ნატურისტორიუმის დამფუძნებელი;
* სვეტას ამხანაგობა-სვეტა ნინიკელაშვილი, სამოქალაქო აქტივისტი;

საუკეთესო ინიციატივების ავტორები კონკურსის წესით გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ. პირველი ადგილი ღია კინოთეატრის იდეამ დაიმსახურა, რომელმაც დარბაზის მხარდაჭერა დიდი უპირატესობით მოიპოვა. ხმის მიცემა ანონიმური იყო და ის ონლაინ იყო შესაძლებელი.

ღონისძიების ფარგლებში სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში მოეწყო CSO EXPO - ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების პროდუქტების გამოფენა, სადაც კახეთის რეგიონში მოქმედი სათემო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები წარმოადგენდნენ მათ საქმიანობას და მოხალისეობით დაინტერესებულ ახალგაზრდებს მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობას სთავაზობდნენ. მათ შორის იყვნენ დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფისა და ტურიზმის ასოციაციის წარმომადგენლებიც, რომელთა საქმიანობამაც დიდი ინტერესი გამოიწვია დამთვალიერებელში. ამ ორგანიზაციებში მოხალისეობის სურვილი ათობით ახალგაზრდამ გამოთქვა.

მოხალისეობის არსზე, შესაძლებლობზე და გამოწვევებზე ისაუბრა ნათია ნამიჭეიშვილმა (განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი (EDEC)), გარდა ამისა გამოფენაზე თელავის ახალგაზრდულმა საბჭომ, მისი როლისა და საქმიანობის პოპულარიზაციის მიზნით, აუდიტორიას განხორციელებული საქმიანობა გააცნო. ფორუმის ფარგლებში გაიმართა პანელური დისკუსია თემაზე — „ადგილობრივი სამოქალაქო სექტორი და დონორი ორგანიზაციების როლი“. დისკუსიაზე მოხსენებით გამოვიდნენ ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებისა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები: გიორგი ბოკერია, სამოქალაქო განათლების ასოციაცია (SAGA), თემით - ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების პოზიციონირება და გამოწვევები; თამარ (იზა) ბექაური, კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი (KRDF), თემით - კახეთის სამოქალაქო სექტორის შესაძლებლობები და საჭიროებები, გიგა ჩიტიშვილი CSRDG საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის, ანა წურწუმია USAID-ის, ნანა წიქვაძე, ევროპის ფონდის წარმომადგენლები, რომლებმაც სესიაში მონაწილე ადგილობრივ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს 2023 წლისთვის მათი ორგანიზაციების სტრატეგია, გამოცხადებული საგრანტო კონკურსები

და ტენდერები გააცნეს.

„რეგიონული ფორუმი სამოქალაქო საზოგადოება მოხალისეობრივი საქმიანობის განვითარებისათვის“ ხორციელდება ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“ (2021-2025) ფარგლებში.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

დედოფლისწყაროში მზის ელექტროსადგურები დამონტაჟდა

სოფელ ფიროსმანსა და ქალაქ დედოფლისწყაროში მზის ელექტროსადგურები უკვე დამონტაჟდა. 30 კვტ სიმძლავრის მზის ელექტროსადგური თითო სოფელში 20 ბენეფიციარს მოემსახურება, რომელთა უმრავლესობას მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები შეადგენენ: ეკო მიგრანტებს, შშმ პირებს, სოციალურად დაუცველებს, მრავალშვილიან ოჯახებს და ეთნიკურ უმცირესობებს.

სოფელ ფიროსმანის მოსახლეობასთან მზის ელექტროსადგურების ფუნქციონირების და ექსპლუატაციის წესების შესახებ ტრენინგი პროექტის პარტნიორი ორგანიზაციის „მწვანე რეგიონების“ ტრენერმა ავთანდილ გელაძემ ჩაატარა. პროექტის „ინოვაციური მიდგომები - განახლებადი ენერგიის ოაზისები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში“ ფარგლებში ამავე სიმძლავრის მზის ელექტროსადგურების დამონტაჟება სოფელ მირზაანშიც იგეგმება.

მზის ელექტროსადგურების მოვლისა და მართვისთვის უკვე მიმდინარეობს კოოპერატივების შექმნის შესაბამისი პროცედურები.

ინგა შიოლაშვილი



ავტოსაგზაო შემთხვევების სტატისტიკა გამოქვეყნდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, იანვრიდან სექტემბრამდე პერიოდში საქართველოში 4060 საგზაო შემთხვევა დაფიქსირდა, დაიღუპა 306, ხოლო დაშავდა 5704 პირი. ამის შესახებ ინფორმაციას „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ ავრცელებს.

მათივე ცნობით, შსს-ს მონაცემების თანახმად, გასული წელს, აღნიშნულ პერიოდში, კერძოდ, იანვრიდან სექტემბრამდე პერიოდში 4335 საგზაო შემთხვევა მოხდა, დაიღუპა 305, ხოლო დაშავდა 5 746 ადამიანი. როგორც „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ თავმჯდომარე, ეკა ლალიაშვილი აღნიშნავს, მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით საგზაო შემთხვევებმა 6%-ით დაიკლო, თუმცა დაშავებულთა და დაღუპულთა ოდენობა თითქმის არ შემცირებულა.

„ეს გულისხმობს, რომ ავტოავარიები მძიმე შედეგებით სრულდება და მათი შემცირება არ მოქმედებს მსხვერპლის შემცირებაზე. მსოფლიოში აქტიურად გავრცელებულია შვედეთის მიერ წამოწყებული „ნულოვანი ხედვის“ ძირითადი პრინციპი - საგზაო შემთხვევები შესაძლოა მოხდეს, მაგრამ მთავარია შემთხვევები ფატალურად და მძიმე შედეგებით არ დასრულდეს.

„ნულოვანი ხედვა“, რომელიც ევროპულმა ქვეყნებმა გაიზიარეს და მის მისაღწევად პროაქტიულად მოქმედებენ, საქართველოშიც უდევს საფუძვლად საგზაო უსაფრთხოების სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას, თუმცა როდესაც სტატისტიკას ვაანალიზებთ, ისმის კითხვა, რას ვაკეთებთ იმისთვის, რომ შევამციროთ მსხვერპლი გზებზე? რა ადამიანურ, თუ ფინანსურ რესურსს ვაინვესტირებთ ავტოავარიაში რომ არ დაგველუპონ ჩვენი მოქალაქეები? რატომ არ ვიწყებთ აქტიურ მუშაობას საბავშვო სამგზავრო სავარძლების საკანონმდებლო ინიციატივაზე, ავტომობილში უკანა ღვედების გამოყენების კანონზე, სიჩქარის ლიმიტების შემცირებაზე მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში, სკოლის ზონების შემოღებაზე, ქულათა სისტემის ადმინისტრირების ხარისხის ამაღლებაზე, ტრანსპორტი ტექნიკური ინსპექტირების რეფორმის ხარვეზების გამოსწორებაზე?“- აცხადებს ეკა ლალიაშვილი.

რეგულაციები, რომელიც ნოემბრიდან ამოქმედდა

2022 წლის ნოემბრიდან, ქვეყანაში გარკვეული რეგულაციები ამოქმედდება. ცვლილებები 1 ნოემბრიდან დაიწყება და თვის განმავლობაში რამდენიმე სიახლეს მოიცავს.

1 ნოემბრიდან სამედიცინო დაწესებულებებში დაფინანსების ახალი მოდელი ამოქმედდება.

1 ნოემბრიდან საქართველოში მოქმედ სამედიცინო დაწესებულებებში დაფინანსების ახალი მოდელი ამოქმედდება. კერძოდ, რამდენიმე დღეში, DRG მეთოდოლოგიით, საბაზისო ტარიფის მიხედვით, გამოითვლება კონკრეტულ სამედიცინო ჩარევაზე ტარიფი — პაციენტის კლინიკაში შესვლიდან მკურნალობის და კლინიკიდან გაწერის ჩათვლით. ეს ნიშნავს იმას, რომ პაციენტებს კლინიკის მიერ წარდგენილ და სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფასებს შორის სხვაობის დაფარვა აღარ მოუწევთ.

1 ნოემბრიდან კონკურენციის სააგენტო მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონის აღსრულებას დაიწყებს.

1 ნოემბრიდან კონკურენციის სააგენტო მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონის აღსრულებას დაიწყებს. აღნიშნული კანონი ძალაში შევიდა 1-ლი ივნისიდან. 2022 წლის პირველი ნოემბრიდან, სააგენტოს განცხადებით შეუძლია მიმართოს ნებისმიერმა ფიზიკურმა პირმა. სააგენტო საკითხს შეისწავლის სავარაუდო დარღვევის ისეთ ფაქტებზე, რომელმაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებელთა ჯგუფის ინტერესების დარღვევა. ამ კანონის შესაბამისად, მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს სრული და უტყუარი ინფორმაცია - პროდუქტის სახეობაზე, მახასიათებლებზე, ვარგისიანობაზე და ა.შ. ასევე, უზრუნველყოს საქონელზე ან მომსახურებაზე გასაყიდი და ერთეული ფასის მკაფიო, გასაგები ფორმით მითითება.

მომხმარებლის უფლებაა, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს საქონლის შეკეთება ან შეცვლა, იმ შემთხვევაში თუ ეს არათანაზომიერ ან შეუსაბამოდ დიდ ხარჯს არ მოითხოვს.

სიგარეტის სადა, ერთგვაროვანი შეფუთვის ვალდებულების ამოქმედება, შესაძლოა, გადავადდეს

საკანონმდებლო ორგანოში თამბაქოს ნაწარმის სტანდარტიზებული შეფუთვის ვალდებულების ამოქმედების გადავადებასთან დაკავშირებით კანონპროექტის განხილვა უახლოეს პერიოდში დაიწყება.

კერძოდ, პროექტის განხილვას ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი უახლოეს დღეებში გეგმავს. ამასთან, განიხილება აღნიშნული ვალდებულების 2 წლით გადავადება, რაზეც სწორედ ჯანდაცვის კომიტეტში იმსჯელებენ. შეგახსენებთ, რომ მოქმედი კანონმდებლობით 2023 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ყველა სიგარეტის შეფუთვა სადა და ერთგვაროვანი უნდა გახდეს. აღნიშნულს გულისხმობს კანონი „თამბაქოს კონტროლის შესახებ“, რომლის თანახმადაც საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმისა და მისი შეფუთვის სტანდარტიზების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი მთავრობამ 2022 წლის მაისში მიიღო.

თუმცა, 2022 წლის ივნისში პარლამენტის დეპუტატებმა დავით სონღულაშვილმა, გოჩა ენუქიძემ, გელა სამხარაულმა და ისკო დასენმა პარლამენტში დაიინიცირეს კანონპროექტი, რომელიც აღნიშნული ვალდებულების გადავადებას ითხოვდა. კერძოდ, დეპუტატების აზრით, თამბაქოს ნაწარმის სტანდარტიზებული შეფუთვის ვალდებულება 2022 წლის 31 დეკემბრის ნაცვლად, 2024 წლის 31 დეკემბრიდან უნდა ამოქმედდეს, რადგან უკრაინაში მიმდინარე ომის გამო კომპანიებს მეტი დრო სჭირდებათ, რომ ცვლილების ამოქმედებისთვის გადაწყობა მოახერხონ. „ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში თამბაქოს ნაწარმის ინდუსტრიაში ჩაბმული კომპანიების მიერ მუდმივად ხდებოდა პროდუქტის არსებულ კანონმდებლობასთან მორგება და დღეის მდგომარეობით დარჩენილია მხოლოდ თამბაქოს ნაწარმის სტანდარტიზებული შეფუთვის გარეშე რეალიზაცია/განლაგების ვალდებულების ამოქმედება, რაც ითვალისწინებს თამბაქოს ნაწარმის - შეფუთვის, შეფუთვის ფერის, წარწერების და ნიშნების, ზედაპირის, ხმის სურნელის და ჩანართის, ჩასაფენისა და ფოლგის, გარსის, ფორმის, ზომისა და შეფუთვის გახსნის, სიგარეტისა და სიგარის ღერების სტანდარტიზებულ შეფუთვას. კომპანიების განმარტებით, უკრაინაში განვითარებულ მოვლენებამდე, საქართველოს ბაზრისთვის განკუთვნილი თამბაქოს პროდუქცია ძირითადად უკრაინის ქარხნებში იწარმოებოდა. მიმდინარე მოვლენების გამო, უკრაინაში პროდუქციის წარმოება შეუძლებელი გახდა კონფლიქტის პირველივე დღეებიდან და ამ ეტაპზე მიმდინარეობს წარმოების სხვადასხვაა ქვეყნებში გადატანა, იმისათვის, რომ მოხდეს საქართველოს ბაზარზე არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილება, შესაბამისი რაოდენობისა და სახეობების თამბაქოს პროდუქტის იმპორტი. ნორმალურ პირობებში, მსგავსს ახალ შეზღუდვასთან შესაბამისობის მიზნით, წარმოების გადაწყობა სექტორისთვის საკმაოდ გრძელვადიან მოსამზადებელ და გადაიარაღების პროცესს გულისხმობს, რომლის დასაწყებად აუცილებელი იყო ტექნიკური რეგლამენტის არსებობა. უკრაინაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე კი, ეს პროცესი უფრო ხანგრძლივი და კომპლექსური გახდა, რადგან ნაცვლად ერთ ქარხანაში სტანდარტიზებული შეფუთვის შესაბამისი პროცესების დანერგვისა, კომპანიებს უწევთ რამდენიმე ქვეყნის სხვადასხვა ქარხნებში შესაბამისი პროცესების გადაწყობა, რომელიც 2023 წლის 1-ელ იანვრამდე შეუძლებელი იქნება.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ქარხნებში ამ მომენტისთვის წარმოება მიმდინარეობს ე.წ საგანგებო რეჟიმში, რადგან წარმოების მსგავსი დანაწევრება არ წარმოადგენს კომპანიების ნორმალურ პრაქტიკას და იმისათვის, რომ მოხდეს სტანდარტიზებულ შეფუთვაზე გადასვლა, პირველ რიგში უნდა მოხდეს წარმოების ნორმალიზება, რასაც საჭიროებს 12-24 თვემდე ვადას,“- ვკითხულობთ პროექტის განმარტებით ბარათში.

პოლონეთი პირველი ატომური ელექტროსადგურის აშენებას გეგმავს

პოლონეთმა პირველი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის გადაწყვეტილება მიიღო. ამის შესახებ პოლონეთის მთავრობის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

განცხადების თანახმად, პირველი ატომური ელექტროსადგური პოლონეთში ამერიკული AP1000 რეაქტორების ტექნოლოგიის საფუძველზე იქნება აშენებული.

„ამერიკული ტექნოლოგიის არჩევანი არა მხოლოდ გააძლიერებს პოლონეთის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, არამედ მნიშვნელოვანი იმპულსი გახდება ჩვენი ეკონომიკის განვითარებისთვის”, - განაცხადა პოლონეთის კლიმატისა და გარემოს მინისტრმა ანა მოსკვამ.

მინისტრმა აღნიშნა, რომ პირველი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაში შეერთებულ შტატებთან პარტნიორობა პოლონეთის სუვერენიტეტისადმი და აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოებისადმი ორივე ქვეყნის სტრატეგიული მიდგომის მტკიცე დასტურია.

„გრაფიკის თანახმად ვმუშაობთ. პირველი პოლონური ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა 2026 წელს დაიწყება, ხოლო 2033 წელს ატომური ელექტროსადგურის პირველი ბლოკი შევა ექსპლუატაციაში”, - თქვა მოსკვამ.

ცნობისთვის, აქამდე პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა მატეუშ მორავეცკიმ განაცხადა, რომ ატომური ელექსტროსადგურის მშენებლობა ჯამში 20 მილიარდი აშშ დოლარი დაჯდება.

ამოხსენი სუდოკუ

თქვენს წინაშეა სუდოკუს სტანდარტული დაფა. ის არის კვადრატის ფორმის და შედგება 3**x**3-ზე ბადით. სწორედ უნდა შეავსოთ ცხრილი რიცხვებით 1-დან 9-მდე. თამაშის მიზანია დაფა შეივსოს ისე, რომ ერთ რიგზე შვეულად და თარაზულად არ განმეორდეს ერთიდაიგივე რიცხვი.

				7	9	2		
						4	6	7
7			1	6	2		9	
	6		9	1		7	2	
3	4			8	7	5		9
	9					3		
		6		4		1	7	
8		1	7	2			4	
4	7	3					5	2

6	4			3				7
5		1		7		9		
							1	
		4	9		8		6	
	8				3		2	
			4					
4			1	5	7		3	
2		8	3				4	
7	5						9	6

მეზობლები: მარინე, გურამი, ვანო მოლაშვილები, გია და მზია ბოტკოველები, გია, გიორგი და ნანა ჯანაშვილები, ლილი და მიშიკო ბოსტოღანაშვილები, მერი წელაური, ვაჟა და სოსო ნატროშვილები, თამრიკო ჯანაშვილი, მირიან პოპიაშვილი, ვიოლა, ლია, ზაზა რობიტაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ციური ყოჩიაშვილს ძმის, სანათესაოს, სამეგობროს უძვირფასესი, განათლებული, თავმდაბალი, ყველას გვერდში მდგომი პიროვნების

ვალერი ყოჩიაშვილის

გარდაცვალების გამო

და - ლილი გოგილაშვილი, დისშვილები - თემურ და თამილა ნადირაშვილები ოჯახებით, იუწყებიან

ვლადიმერ (ვალიკო) გოგილაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ შვილს - გოჩა გოგილაშვილს მამის გარდაცვალების გამო.

და - მიმოზა გოგილაშვილი, სიძე - ზეიმა ყაჭაშვილი, შვილები - ეთერ, ილია და ია ყაჭაშვილები ოჯახებით, იუწყებიან

ვლადიმერ (ვალიკო) გოგილაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ შვილს - გოჩა გოგილაშვილს მამის გარდაცვალების გამო.

ეკა გიორგანაშვილი, ბაბუცი ჯორკოშვილი, მარინა მეხრიშვილი, ლალი ხუცურაული, ნანა თავაძე, ეთერ ლობჟანიძე და ვალერი იაკობიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ გოჩა გოგილაშვილის და გია ნატროშვილის ოჯახებს

ვალიკო გოგილაშვილის

გარდაცვალების გამო

ილია მარტყოფლიშვილი ჯავახიშვილის (ყოფილი პრესის) ქუჩის მაცხოვრებლების სახელით თანაგრძნობას უცხადებს გოჩა გოგილაშვილს მამის

ვალიკო გოგილაშვილის

გარდაცვალების გამო.

ნაზი მოსაშვილი და ილია ბიკაშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ ანგელინა ღორაშვილს - დედის, თამაზ და დათო ჯარიაშვილებს - სიდედრის და ბებიის

ნორა ღორაშვილის

გარდაცვალების გამო.

გემზე შექმნილი ხელოვნება

ეს ახალგაზრდა ადგილობრივებს ფეხბურთის მოედნიდან ახსოვთ. მეზღვაურის პროფესიის არჩევის შემდეგ კი მას თვეობით გემზე, ზღვაში ყოფნა უნევს. ცხოვრების ამ სტილმა მასში ახალი შესაძლებლობები განავითარა, ბოლო ხანს ხატვა დაიწყო და არცთუ ურიგოდ...



შოთა ჩადუნელი: „ჩემი მეზობელი ხატვაზე დადიოდა და პირველ კლასში ვიქნებოდი, როცა გავყევი. მომცეს დავალებად თავისუფალი თემა. სახლი რომ დავხატე, მასწავლებელმა ისეთი სახით შეხედა, ხატვის სურვილი აღარ გამჩენია. სკოლა რომ დავამთავრე, „ბოლო ზარისთვის“ თეთრ მაისურზე რამდენიმე ნახატი შევასრულე, მეც მომწონდა და სხვებსაც. ჩემი პატარა ბიძაშვილი გიჟდებოდა ელზას პერსონაჟზე მულტფილმიდან „გაყინული“. დაახლოებით ათი წლის წინ, მინდოდა სიურპრიზი გამეკეთებინა, მუზაც მომაწვა და ბავშვმა რომ დაიძინა, ელზა დავხატე. იმდენად კარგად გამომივიდა, მეც გამიკვირდა და სხვებსაც. დილით ძალიან გავახარე ბიძაშვილი. შემდეგ ეს უნარები დიდი ხნით დავივიწყე, სანამ მეზღვაურობა არ დავიწყე და თავისუფალი დრო არ გამომიჩნდა, აღარ დამიხატავს. გემზეც შემთხვევით გამახსენდა და პირველად ხატვის დაწყებას საინტერესო ისტორია აქვს. პირველივე მოგზაურობის დროს, ერთ დღესაც, ჩემი გემით შევედით ბარსელონაში. ძალიან მიყვარს ისტორიული შენობების და ღირსშესანიშნაობების თვალიერება. გამიხარდა ბარსელონაში ჩასვლა, ნოუკამპის სტადიონი ვნახე, საგრადა ფამილიას ტაძარი და ა.შ. ასევე მიყვარს სუვენირების ყიდვა. ქუჩაში რომ მივდიოდი, ქალი პორტრეტებს ხატავდა. დავაკვირდი, უცებ მიუსვამდა-მოუსვამდა, პორტრეტი მზად იყო. ვიფიქრე, ჩემს მეუღლეს დავახატინებ და ვაჩუქებ-მეთქი. 80 ევრო დააფასა და ამდენი არ მქონდა, ძალიან დამწყდა გული. გემზე რომ დავბრუნდი, ფანქარი ავიღე და დავიწყე ხატვა. ნელ-ნელა მივყევი და რაღაც გამომივიდა. ასე ნელ-ნელა გავაგრძელე და თავისუფალ დროს გემზე ვხატავ ხოლმე. პირველ ეტაპზე არც საღებავები მქონდა, არც ფუნჯები. კბილის ჩხირით და ჭურჭლის ღრუბელით ვხატავდი... ახლა გემზე სახატავად ყველაფერს მოვიმარაგებ ხოლმე.



ხშირად მინახავს ლამაზ ხელნაკეთ ნივთებს ციხეში რომ ამზადებენ, შესაძლოა, არც მათ უფიქრიათ ამაზე, მაგრამ როცა ბევრი დრო გაქვს, ცდილობ, რაღაც შექმნა და დრო ნაყოფიერად გაიყვანო. გემზე ყოფნაც ციხეში ჯდომას გავს, გამოხვალ გარეთ, მოავლებ თვალს, 360 გრადუსით ირგვლივ ყველგან წყალია. ზოგჯერ 1 თვე გზაში ვართ, ხან რამდენიმე კვირა. წელიწადში 3-4 თვე ვისვენებ და დედოფლისწყაროში ოჯახთან ჩამოვდივარ. გემზე მუშაობა 5 საათზე მთავრდება და დილამდე თავისუფალი ხარ, ზოგი კინოს უყურებს, ზოგი კარტს, ნარდს თამაშობს. ეს ყველაფერიც რომ დამღლის, მერე ვიწყებ ხატვას. ხატვა ჩემი ერთ-ერთი ჰობია, ხატვის დროს მუსიკას ვუსმენ და დრო ისე გადის, ვერ ვიგებ. ზოგ ნახატს 3-4 დღეს ვანდომებ, ზოგს 1 კვირას. გემზე ყოველთვის ვერ დახატავ, როდესაც შტორმია, კაიუტაში ყველაფერი დაფრინავს და ავეჯთან ერთად შენც რომ ცურდები, ამ დროს შეუძლებელია ხატო. მოკლედ, თავს მხატვრად არ ვთვლი, უბრალოდ ეს ჩემი ჰობია და მსიამოვნებს ხატვის პროცესი. ყველაზე მაგარი გრძნობაა, ნახატს რომ დაასრულებ, შორიდან შეხედავ და მოგეწონება, გოლის გატანის გრძნობას გავს.

– შოთა, თქვენს ოჯახში ვინმეს ჰქონდა ხატვის ნიჭი?

– ჩემი და ჩემზე უკეთ ხატავს, ის ბავშვობიდან ხატავდა. პირველად, როცა ხატვას ვიწყებდი, მას ვეკითხებოდი რჩევებს, ჩრდილები და დეტალები როგორ გამეკეთებინა. ასევე ჩემი მეგობარი ანი ბოტკოველი პროფესიონალი მხატვარია და მისგან ვიღებ ხოლმე სასარგებლო რჩევებს. როგორც მეგობრები მეუბნებიან, ასე ნელ-ნელა დამეხვეწა ხელი.

თუ მეზღვაურობას გადაწყვეტ და შტორმის შიში გაქვს, მაშინ ეს პროფესიაში არ უნდა აირჩიო, რადგან ყოველთვის მოგიწევს საფრთხის გავლა. შიშის რა გითხრათ, მე უფრო ადრენალინს ვგრძნობ ხოლმე.

– მოგზაურის შთაბეჭდილებები როგორია?

– არქიტექტურულად იტალია და ესპანეთი მომწონს. საფრანგეთიც ლამაზია, სიმწვანეშია ჩაფლული, ირლანდიაც სულ ხასხასა მწვანეა. ხორვატიაც ულამაზესია, მოვიხიბლე თავისი პატარ-პატარა კუნძულებით. საბერძნეთი ხომ უდაოდ ლამაზია, უთვალავი კუნძული აქვთ ეგეოსის ზღვაში, მაგრამ ხრიოკი. ქალაქი ლივორნო მომეწონა, ბარსელონაც. ბარსელონას შესაშური არქიტექტურა აქვს, ყველა სახლი ერთნაირია. ევროპელები ცივი ხალხია. რამეს თუ ეტყვი, ან იკითხავ, ეს სადაა, რა ნომერს უნდა გავყვე, წესიერად არ გეკონტაქტებიან. ევროპის ქვეყნებში, როგორც ერთი შეხედვით შევამჩნიე, ყველა თავისი ცხოვრებით ცხოვრობს ბედნიერად. არც ომი აქვთ, არც რუსეთი ესაზღვრებათ. იცავენ წესებს და კანონებს. კარგი ანაზღაურება აქვთ, მეტისმეტად წესრიგიანი ხალხია. მაგალითად, ლივერპულში ჩემი გემიდან ტვირთი იცლებოდა, სულ 15 წუთის საქმე იყო დარჩენილი და გავიდოდით. მაგრამ არა, 5 საათი რომ გახდა, სამუშაო დრო დამთავრდაო, ჩააქრეს ამწეები და წავიდნენ. საქართველოში ვიტყოდით, „ეგ რაღა დასატოვებელიაო“. აფრიკის ქვეყნები ძალიან ჩამორჩენილები არიან და უჭირთ. პორტში რომ შევდივართ, ყველგან გვამოწმებენ, პოლიცია რომ მოდის აფრიკაში, ისინიც კი გვპარავენ ხოლმე ნივთებს, თუ არ გააკონტროლე, გვძარცვავენ.

— მეზღვაურის პროფესია რატომ აირჩიე?

— ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი დავამთავრე მეზღვაურის სპეციალობით. 2018 წლიდან ვცურავ. ატლანტიკის ოკეანის და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, ძირითადად ევროპასა და აფრიკაში ვმოგზაურობ. მოგზაურობა ბავშვობიდან ძალიან მიყვარს. მეზღვაურობა კი საშუალებას მაძლევს, თან ვიმოგზაურო და თან ვიმუშაო. ამიტომ ვფიქრობ, საინტერესო პროფესიაა. მანამდე აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარული ფაკულტეტი დავამთავრე. ფეხბურთს ვთამაშობდი, დედოფლისწყაროს გუნდშიც და შემდეგ 4 წლის განმავლობაში სტამბულშიც. სტამბულის ბეშიქთაშში მივედი სინჯებზე, შემამოწმეს და ამიყვანეს გუნდში, დუბლებშიც ვთამაშობდი. უმაღლეს ლიგაში, ანუ სუპერლიგაში უნდა გადავსულიყავი დიდ ბეშიქთაშში, შემოწმებაზე ვიყავი, სინჯები გავიარე. ვიზის გასაკეთებლად ჩამოვედი საქართველოში და სოკოთი მოვიწამლე და აქ დასრულდა ჩემი კარიერა. აუცილებელია დედოფლისწყაროსაც ჰყავდეს ფეხბურთის სერიოზული გუნდი. ჩვენს რაიონში იბადებიან ტალანტები და იკარგებიან. კახეთში რამდენ რაიონს გაუკეთეს სტადიონი, ოცნებად მაქვს ჩვენთანაც გააკეთონ სტადიონი და შეიქმნას გუნდი.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

თამარ მოძღვრიშვილს!

მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის წევრს, საქართველოს მასშტაბით 2022 წლის ნომინაციაში „გემოვნებიანი ქალბატონი“ გამოვლენილ „რძის ქალაქის“ მენეჯერს, ქალბატონ **თამარ მოძღვრიშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს, 9 ნოემბერს.

საუკეთესო სურვილებით და უღრმესი პატივისცემით მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის სახელით: ვანო ნატროშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ნაირა გორაშვილი, მარიკა პოპიაშვილი, გენადი შიოლაშვილი, ხათუნა აგლაძე, მარინა ხარაშვილი, დიტო ყოჩიაშვილი

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საინტერესო სტატისტიკა

75	ნოდარ დუმბაძე
22	გრიგოლ რობაქიძე
12	ილია ჭავჭავაძე
11	იაკობ გოგებაშვილი
5	კონსტანტინე გამსახურდია

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 07.11	სამშაბათი 08.11	ოთხშაბათი 09.11	ხუთშაბათი 10.11	პარასკევი 11.11	შაბათი 12.11	კვირა 13.11
დღე	7°	7°	9°	11°	11°	11°	11°
ღამე	3°	2°	1°	1°	1°	1°	1°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ილია მარტყოფლიშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა გენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი